



GOV 6 20 00027126



13/07/2020

## საქართველოს პარლამენტს

როგორც თქვენთვისაა ცნობილი, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტს წარედგინა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№25125; 01.07.2020) საქართველოს კანონების პროექტები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2020 წლის 10 ივლისის სხდომაზე განხილულ იქნა აღნიშნული კანონპროექტები და კომიტეტზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე, კანონპროექტის ავტორის თანხმობით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მსვლელობა აღარ მიეცეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 ივლისის №1220 განკარგულების შესაბამისად, გამოვითხოვთ საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტის („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს პარლამენტში წარდგენის თარიღია: 01.07.2020; №25125)) შემადგენელ საქართველოს კანონის პროექტს - „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დანართი: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 ივლისის №1220 განკარგულება.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე,  
მთავრობის საპარლამენტო მდივანი  
ბექა დოჭვირი





# საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

№ 1220 2020 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტიდან საქართველოს მთავრობის  
საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტის  
გამოთხოვის შესახებ

„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანს, ბექა დოჭვირს, მიეცეს თანხმობა, რომ საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვოს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტის („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს პარლამენტში წარდგენის თარიღია: 01.07.2020; №25125)) შემადგენელი საქართველოს კანონის პროექტი - „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია